საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030168955411617

№ 01-230/ო 26 / ოქტომბერი / **2017** წ.

იმუნიზაციის განხორციელების ხელშემწყობი კომისიის შექმნის შესახებ

ქვეყანაში იმუნიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ნ" და ,,ჟ" ქვეპუნქტების, მე-19 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას იმუნიზაციის განხორციელების ხელშემწყობი კომისია (შემდგომში-კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა)	დავით სერგეენკო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;
ბ)	~~ნინო ბურჭულა~~	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
გ)	მარინა დარახველიძე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
დ)	ნოე ქინქლაძე	სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
ე)	ეკატერინე ადამია	სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს უფროსი, კომისიის მდივანი;
ვ)	შორენა ოქროპირიძე	სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;
ზ)	ამირან გამყრელიძე	სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) გენერალური დირექტორი, კომისიის წევრი;
თ)	პაატა იმნაძე	ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში, კომისიის წევრი;

ი)	ხათუნა ზახაშვილი	ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
კ)	ვლადიმერ გეთია	ცენტრის სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
ლ)	ლია ჯაბიძე	ცენტრის იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი.

2. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოს:

ა)	თამარ უგულავას	UNICEF-ის საქართველოს წარმომადგენლობა;
ბ)	თამარ სირბილაძეს	ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს ოფისი;
გ)	რუსუდან კლიმიაშვილს	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისი;
დ)	გიორგი ქურციკაშვილს	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისი;
ე)	მაკა გუმბერიძეს	როსტროპოვიჩ–ვიშნევსკაიას ფონდის დირექტორი;
ვ)	მაია ხერხეულიძეს	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტ-პედიატრი;
ზ)	ივანე ჩხაიძეს	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტ-პედიატრი;
თ)	ქეთევან ქასაშვილს	შპს „იმუნიზაციის ცენტრის" დირექტორი
ი)	ნინო ხეცურიანს	აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის სამხრეთ კავკასიის ოფისის იმუნიზაციის მრჩეველი;
კ)	ეკა პაატაშვილს	საბინის ვაქცინების ინსტიტუტის წარმომადგენელი.

3. კომისიის ამოცანებია:

ა) ქვეყნისათვის ყოველწლიურად საჭირო ვაქცინების რაოდენობისა და სპეციფიკაციის განსაზღვრა;

ბ) ვაქცინებისა და იმუნიზაციის პროცესის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისათვის წინადადებების წარდგენა;

გ) ვაქცინებისა და იმუნიზაციის შესახებ შემუშავებული წინადადებების წარდგენა GAVI-ს ალიანსში;

დ) იმუნიზაციის სფეროში სამთავრობო და არასამთავრობო პარტნიორებს შორის მჭიდრო კოორდინაციისა და კონსულტაციების უზრუნველყოფა;

ე) ახალი და არასაკმარისად ხმარებულ ვაქცინათა დანერგვისას ავადობის მნიშვნელობის შეფასება სახელმწიფოებრივ დონეზე.

4. კომისიის საქმიანობის წესი:

ა) კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე, ან თავმჯდომარის მიერ დელეგირებული პირი;

ბ) კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია საჭიროებისამებრ, დამატებით მოიწვიოს მოიწვიოს და საკონსულტაციო პროცესში ჩართოს დამატებით ექსპერტები, ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;

გ) კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ. კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს

თავმჯდომარის ხმა;

დ) კომისიის სხდომა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები, კომისიის მდივანი და თავმჯდომარე;

ე)კომისიის მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის მდივანი.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „იმუნიზაციის განხორციელების ხელშემწყობი კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 26 ნოემბრის N01–319/ო ბრძანება.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი დავით სერგეენკო